საკითხები ქართულ ენაში მაგისტრანტთათვის

1. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები

2. ქართული ენის ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის

3. ანტონ პირველის როლი ქართული ენის დემოკრატიზაციის საქმეში

4. ბრძოლა ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

5. ქართველური ენები და მათი დიალექტები

6. სამეტყველო ბგერა და ფონემა. ფონეტიკა და ფონოლოგია.

7. აღწერილობითი და ისტორიული ფონეტიკა. ექსპერიმენტული ფონეტიკა.

8. საწარმოთქმო ორგანოები და მათი მოქმედება: არტიკულაცია და ინდეფერენტული მდგომარეობა, რესპირაცია და ფონაცია.

9. ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი

10. საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილი: ბაგეები, წინა ენა, ენის წვერი, შუა ენა, უკანა ენა, რბილი სასა ნაქითურთ, ენის ძირი, სახმო სიმები;

11. დაბრკოლებათა რაგვარობანი: ხშულობა, ნაპრალოვნობა, შერეული რაგვარობა– ხშულ-ნაპრალოვნობა.

12. საარტიკულაციო ბაზისი.

13. სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაცია: კლასიფიკაციის პრინციპები. სამეტყველო ბგერათა მჟღერობა-სიყრუე, მათი გამოცნობა; მჟღერი და ყრუ თანხმოვნები; სამეტყველო ბგერათა სონორობა; ხმოვანი, თანხმოვანი, ნახევარხმოვანი.

14. ქართული ენის ვოკალიზმი: ხმოვანთა სამი რიგი: წინა, შუა და უკანა; ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური: მაღალი, საშუალო, დაბალი; ხმოვანთა დაჭიმულობა, ნაზალიზაცია, ლაბიალიზაცია. ქართული ენის ხმოვანთა სამკუთხედი.

15. ქართული ენის კონსონანტიზმი: თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება; ასპირაცია და ასპირატები; ქართული ენის ხშულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემა; მკვეთრები (აბრუპტივები), ფარინგალური ხშულები; ნაპრალოვანი თანხმოვნები ანუ სპირანტები; წყვილეული და ცალეული თანხმოვნები. სონანტები.

16. მარცვალი და მისი აგებულება.

17. ბგერათშეერთება: ბგერათშეერთება საერთოდ, კოარტიკულაცია. გარდამავალი ბგერა და ფონემა; ბგერათშერწყმა და ბგერათშერთვა; აფრიკატები; დიფთონგები; თანხმოვანთა დეცესიური და აქცესიური კომპლექსები. თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფები.

18. მახვილის საკითხი ქართულში.

19. ფონეტიკური სისტემა და მისი ისტორიული ცვალებადობა: ახალი ფონემის წარმოქმნა; არსებული ფონემების დაკარგვა ენაში.

20. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები: დიფთონგები, ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათა გადასმა (მეტათეზისი), ბგერათა შენაცვლება (სუბსტიტუცია), ბგერათმონაცვლეობა (ალტერნაცია).

ბგერათა დაკარგვა, რედუქცია და მისი საფუძველი, ხმოვნის შეკვეცა, ბგერის ჩართვა, შერწყმა, ბგერითი ანალოგია, კონტამინაცია.

21. სიტყვა. სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა.

22. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა: ძირი, ფუძე და მორფემა (აფიქსი). ქართული ენის, როგორც აგლუტინაციური ენის აფიქსთა ერთფუნქციანობა.

23. აფიქსთა კლასიფიკაცია. აფიქსები ადგილმდებარეობისა და ფუნქციის მიხედვით; პროდუქტული, არაპროდუქტული და უქმი აფიქსები ქართულში.

24. მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საფუძველი და მისი კრიტიკა.

25. არსებითი სახელი. მისი მნიშვნელობა. არსებით სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით: ადამიანისა და არაადამიანის (ვინ და რა ჯგუფისა), სულიერთა და უსულოთა, საკუთარი და საზოგადო, კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა სახელები.

26. არსებით სახელთა ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები. ბრუნვათა რიგი. წოდებითი ბრუნვის საკითხისათვის ქართულში. ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა (ემფატიკური ხმოვანი). სახელის ფუძე. რიცხვი. ორგვარი მრავლობითი და მათი ხმარება. რიცხვის ნიშანთა გენეზისის საკითხები.

27. თანდებულიანი ბრუნვები. -ვით თანდებული სახელობითთან; -ვით, -თან, -ზე, -ში თანდებულები მიცემითთან; -თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე ნათესაობითთან; -ურთ, -გან, -დამ მოქმედებითთან; -მდე(-მდის) ვითარებითთან; -გან თანდებულის გამოყენების საკითხი ნათესაობითთან და მოქმედებითთან; ლოკალურ ბრუნვათა საკითხი; ნაწილაკიანი ბრუნვები.

28. ზედსართავი სახელი. მისი მნიშვნელობა და ფუნქცია. არსებითი სახელის გამოყენება ზედსართავის ფუნქციით (ადიექტივაცია) და ზედსართავისა არსებითად (სუბსტანტივაცია). ვითარებითი (ატრიბუტული) და მიმართებითი (ნაწარმოები) ზედსართავი სახელი. ხარისხის ფორმები. აღმატებითი და ოდნაობითი ხარისხი. მათი წარმოება.

ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ორი სახე: თანხმოვანფუძიანი (კარგი საქმე) და ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (პატარა ბავშვი). ინვერსიული რიგი (საქმე კარგი, ბავშვი კარგი). ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის (გენეტიური სახელის) ბრუნება პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობისას ძველსა და ახალ ქართულში.

29. რიცხვითი სახელი. მისი მნიშვნელობა. რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. ქართული თვლის სისტემა. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად. არსებით სახელთა რიცხვის საკითხი რაოდენობით რიცხვით სახელთან. ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი. რთული რიცხვითი სახელის მართლწერა. რიგობითი რიცხვითი სახელების დაწერა რომაული და არაბული ციფრებით.

30. ნაცვალსახელი. მისი მნიშვნელობა და ფუნქცია. ნაცვალსახელთა ჯგუფები: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრებითი, უარყოფითი. ნაცვასახელთა შედგენილობა. ნაცვალსახელთა გენეზისის საკითხები.

ნაცვალსახელთა ბრუნება. პირის, ჩვენებით და კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებანი. ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება და მასთან დაკავშირებული სადავო საკითხები.

31. ზმნა. ზმნის მნიშვნელობა. ზმნის კატეგორიები. პირი, რიცხვი, რომელობა პირისა, რაოდენობა პირისა ერთ ფორმაში. ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები. მათი ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებანი. სუბიექტური პირი და მისი მაჩვენებელი აფიქსები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში ძველსა და ახალ ქართულში. ობიექტური პირები და მათი ნიშნები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში ძველსა და ახალ ქართულში. პირის ნიშანთა გენეზისის საკითხები. წყობა სუბიექტური და ობიექტური, აგებულება აბსოლიტური და რელატიური. ინვერსია და მისი საფუძველი.

32. დრო, კილო. დროის განსაზღვრა. დროთა რაოდენობა. დროის წარმოების საშუალებები ძველსა და ახალ ქართულში.

კილო. მისი განსაზღვრა. კილო თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი, პირობითი. ბრძანებითი კილოს სახეები: წართქმითი და უკუთქმითი (აკრძალვითი) და მათი გამოხატვის საშუალებები ძველსა და ახალ ქართულში.

33. ზმნისწინი (პრევერბი). ზმნისწინის ადგილი და ფუნქციები (მიმართულების ჩვენება, მყოფადის წრის წარმოება, სრული ასპექტის გამოხატვა, წარმოქმნის საშუალებად გამოყენება). გეზისა და ორიენტაციის საკითხი.

პრევერბის სახეები: მარტივი (მი-, მო-, ა-, და- ჩა-, შე- გა- წა-) და რთული (ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, მიმო-, წამო-, გადმო-); პრევერბის ძველი სახით ხმარება (აღ-, გან-, წარ-, გარდა-, შთა-); პრევერბთა ისტორია (წარმოშობა, ურთიერთობა თანდებულებთან და

ზმნიზედებთან) ხმარებიდან გასული ზმნისწინები. უზმნისწინო ზმნა. ზმნისწინთა მართლწერა.

34. ასპექტი. სრული და უსრული ასპექტი. სრული ასპექტის გამოხატვის საშუალება. უასპექტო ზმნები. ასპექტის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში.

35. მწკრივი (ნაკვთი). მწკრივები სერიათა მიხედვით. I სერიის მწკრივები აწმყოს წრისა და მყოფადის წრისა; II სერიის მწკრივები; III სერიის მწკრივები. სერიებად დაყოფის საფუძველი. ერთპირიან, ორპირიან და სამპირიან ზმნათა უღვლილება სამივე სერიაში. ინვერსია III სერიის ფორმებში.

36. ჯერობა (გზისობა), აქტი, გარდამავლობა. ერთგზისი და მრავალგზისი ფორმები. ჯერობის გამოხატვის საშუალებანი. მრავალგზისობის ისტორიიდან ქართულში.

37. აქტი. ნახული და უნახავი აქტი.

გარდამავლობა. საფუძველი ზმნათა დაჯგუფებისა სტატიკურად და დინამიკურად, გარდამავლად და გარდაუვლად. მათი ურთიერთმიმართება და ამოცნობის საშუალება.

38. გვარი. მისი განსაზღვრა. მოქმედებითი, ვნებითი და ,,საშუალი'' გვარი.

ვნებითი გვარის ფორმათა წარმოების საკითხები ქართულში (მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფუძეთა ურთიერთმიმართებისათვის; ფუძედრეკად ზმნათაგან ვნებითის წარმოების საკითხები; უნიშნო ვნებითი ქართულში; ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნები; სუფიქსიანი ვნებითები; -ე პრეფიქსით ნაწარმოებ ვნებითთა ზოგი თავისებურება; უკუქცევითობის კატეგორია ქართულში და ი-ნიანი ვნებითის წარმოების საკითხები; ვნებითი გვარის ზოგი დიალექტური ფორმის თავისებურებანი).

,,საშუალი'' ფორმები ქართულში (,,საშუალი'' ზმნების სინტაქსური ბუნებისათვის; ნასახელარი ,,საშუალი'' ფორმები; ,,საშუალი'' ფორმების წარმოების ზოგი თავისებურება).

კონვერსია. გვარის საკითხი III სერიის ფორმებში; დეპონენსები; გვარი და გარდამავლობა.

39. ქცევა, კონტაქტი. ქცევის განსაზღვრა. ქცევის სახეები: საარვისო, სასხვისო, სათავისო. ქცევა და გარდამავლობა; სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებანი; უქცეო ზმნები; ქცევის საკითხი III სერიის ფორმებში; მდებარეობა (სიტუაცია) და მისი ნიშანი; სიტუაციისა და ქცევის ურთიერთობის საკითხი.

კონტაქტი (გზა). უშუალო და შუალობითი კონტაქტი. შუალობითი კონტაქტის მნიშვნელობა და წარმოება ძველსა და ახალ ქართულში; კონტაქტი და გარდამავლობა; შუალობითი ფორმის მართლწერა.

40. ზმნის ფუძე და თემა. ზმნის ფუძე მწკრივთა მიხედვით. თემის ნიშნები: -ებ, -ემ, -ევ, -ავ, -ობ, -ოფ, -ი. ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები. ნასახელარი ზმნის ნიშნები.

41. უღვლილება. უღვლილების კატეგორიები. ზმნის უღვლილება სამივე სერიაში ობიექტის ცვლით ყველა პირსა და რიცხვში.

42. ზმნიზედა. მისი მნიშვნელობა. ზმნიზედათა ჯგუფები ფუნქციისა და ფორმის მიხედვით. ადგილისა და დროის ზმნიზედები. ვითარების, მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები.

43. თანდებული. მისი ფუნქცია. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებული. თანდებულთა გენეზისი. ზმნიზედის გამოყენება თანდებულად.

44. კავშირი, მისი ფუნქცია. კავშირის სახეები: მაერთებელი და მაქვემდებარებელი. კავშირთა წარმოშობა. სახელთა კავშირად ქცევის შემთხვევები.

45. ნაწილაკი. მისი მნიშვნელობა. ნაწილაკთა ჯგუფები (უარყოფითი, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, გამორჩევითი, მიგებითი, გაძლიერებითი, სიტყვა-სიტყვითი, ნება-სურვილისა, შესაძლებლობა-ვარაუდისა, შედარება-მსგავსების, მრავალგზისობის, ჩვენებითი, იგივეობის ვე). ნაწილაკთა წარმოშობის საკითხი.

46. შორისდებული. მისი როლი წინადადებაში. შორისდებულთა ჯგუფები (აღტაცებისა, მწუხარებისა, მოწოდებისა, გაკვირვებისა...).

47. სემასიოლოგია (სემანტიკა) როგორც ენათმეცნიერების დარგი. სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით: სრულმნიშვნელოვანი და არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები. სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა.

48. სინონიმი, ომონიმი, ანტონიმი, ფრაზეოლოგია, იდიომები.

49. წარმოქმნა. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. ბრუნვის ფორმათაგან წარმოქმნილი სახელები.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით: კნინობითი, ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, აბსტრაქტული, დანიშნულების, პროფესიის, გეოგრაფიული, ხარისხის... ნასესხები აფიქსები.

50. სახელზმნა. საწყისი და მიმღეობა, მათი მნიშვნელობა და ფუნქციები. საწყისის (მასდარის) წარმოება.

მიმღეობის წარმოება. საწყისისა და მიმღეობის ზმნური ნიშნები.

51. თხზვა. (კომპოზიცია). რთული ფუძე (კომპოზიტი). კომპოზიტი ფორმისა და შინაარსის მიხედვით. კომპოზიტის სახეები და მათი მიღების საშუალებანი. შემოკლებული კომპოზიტის ტიპები და მათი გავრცელებულობა.

52. წინადადება როგორც სინტაქსური ერთეული. წინადადების აზრობრივი დამთავრებულობა და მისი გამოხატვის საშუალებანი (პრედიკატულობა, ინტონაცია). წინადადების განმარტება სხვადასხვა თვალსაზრისით და მათი კრიტიკა.

53. სიტყვათა შეკავშირება. შესიტყვება. წინადადების წევრთა დაწყვილება. სინტაგმის ცნება. სინტაგმათა რაოდენობა წინადადებაში. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა.

54. წინადადების ტიპები რაგვარობის (მოდალობის) მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი (იმპერატიული), კითხვა ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები.

წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული, რთული.

55. შემასმენელი. მარტივი და რთული შემასმენელი. მარტივი შემასმენლის გამოხატვა. შედგენილი შემასმენლის ტიპები. მეშველი ზმნები. შედგენილი შემასმენლისა და აღწერითი ვნებითის მსგავსება და განსხვავება.

56. ქვემდებარე. ქვემდებარის გადმოცემა მეტყველების სხვადასხვა ნაწილით. ქვემდებარის სპეციფიკურობა ქართულში. ქვემდებარის კითხვები და ბრუნვები ქართულში. ქვემდებარე გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან.

ქვემდებარე გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან. ქვემდებარე ინვერსიულ ზმნებთან. ქვემდებარის საკითხი ბრძანებით წინადადებაში. სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის: ცალმხრივი მართვა, საურთიერთო მართვა. შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან რიცხვში.

57. პირმიმართი (პირდაპირი, ირიბი) დამატებები. პირმიმართი დამატებების გადმოცემა მეტყველების სხვადასხვა ნაწილით. პირმიმართ დამატებათა სპეციფიკურობა ქართულში. პირმიმართ დამატებათა კითხვები და ბრუნვები. პირმიმართ დამატებათა ურთიერთობა შემასმენელთან: პირდაპირი დამატება გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან. ირიბი დამატება შემასმენელთან. სინტაქსური დამოკიდებულება პირმიმართ დამატებებსა და შემასმენელს შორის, საურთიერთო მართვა. შემასმენლის შეთანხმება პირმიმართ დამატებებთან რიცხვში. კოორდინაციის საკითხი ქართულში.

58. უბრალო დამატება. უბრალო დამატების გადმოცემა მეტყველების სხვადასხვა ნაწილით. უბრალო დამატების ბრუნვები და კითხვები. გენეტიური დამატება. უბრალო დამატების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან.

59. განსაზღვრება. განსაზღვრება ფორმისა და შინაარსის მიხედვით. განსაზღვრების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. განსაზღვრება წინადადების სხვადასხვა წევრთან. გენეტიური განსაზღვრება. განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულ წევრთან: მართული და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებები. პრედიკატული განსაზღვრება.

60. გარემოებანი. გარემოების გადმოცემა მეტყველების სხვადასხვა ნაწილით. გარემოებათა კლასიფიკაცია: ადგილისა, დროისა, ვითარების, მიზეზისა, მიზნისა. გარემოებათა ბრუნვები (თანდებულიანი, უთანდებულო).

გარემოებათა ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებანი. გარემოებისა და უბრალო დამატების მსგავსება და განსხვავება. გარემოების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან; მართვისა და მირთვის საკითხები.

61. მარტივი წინადადების ტიპები. მარტივი წინადადება მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით; მარტივი გავრცობილი და გაუვრცობელი წინადადება; სრული და უსრული წინადადება; უქვემდებარო წინადადება; განუსაზღვრელპირიანი, განზოგადებულპირიანი და სახელდებითი წინადადებები.

62. შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადების ტიპები. ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარგარემოებიანი, ერთგვარდამატებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი, შერეული. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი: ინტონაცია, კავშირები, უკავშირო შეერთება, კავშირიანი შეერთება. კავშირთა სახეები შერწყმულ წინადადებაში. განმაზოგადებელი (შემკრები) სიტყვა ერთგვარ წევრთა წინ ან შემდეგ. შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ერთგვარ ქვემდებარესთან. ქვემდებარის ბრუნვა სხვადასხვა გვარის ზმნით გადმოცემულ ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში.

63. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება. მათი სინტაქსური ურთიერთობა წინადადების წევრებთან. სასვენი ნიშნების ხმარების წესი. დანართი. დანართის ფუნქცია. უკავშირო და კავშირიანი დანართი.

64. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები: მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები წინადადებაში. ჩართული სიტყვა და ჩართული წინადადება. სასვენი ნიშნების ხმარების წესები ჩართულთან.

65. რთული წინადადება. მარტივ და შერწყმულ წინადადებათა შეერთების საშუალებანი: თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი). რთული წინადადების ტიპები: რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი.

66. რთული თანწყობილი წინადადება. თანწყობილ წინადადებაში შემავალ წინადადებათა შეერთების საშუალებანი (ინტონაცია, მაერთებელი კავშირები). მაერთებელ კავშირთა კლასიფიკაცია. კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება. თანწყობილი წინადადების წევრ-წინადადებათა აზრობრივი ურთიერთმიმართება: ერთდროულობა, თანმიმდევრობა, მიზეზ-შედეგობრიობა, დაპირისპირება (ოპოზიცია).

67. რთული ქვეწყობილი წინადადება. მთავარი და დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადების გარეგანი და შინაგანი ნიშნები: მნიშვნელობა (კითხვების

დასმა), მაქვემდებარებელი კავშირები და სიტყვები, საკორელაციო სიტყვები მთავარ წინადადებაში.

რთული ქვეწყობილი წინადადება ერთი დამოკიდებული წინადადებით. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია სამი ნიშნით: ა. ადგილის მიხედვით მთავართან მიმართებით: წინა, მომდევნო, შუა; ბ. კავშირის მიხედვით მთავარ წინადადებასთან: კავშირიანი და უკავშირო დამოკიდებული წინადადება...

68. დამოკიდებული წინადადების სახეები:

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება.

დამატებითი დამოკიდებული წინადადებანი.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

ადგილისა და დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

შემასმენლური, დათმობითი (თუმცაობითი), პირობითი დამოკიდებული წინადადებანი

შედეგობითი, მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებანი; დამოკიდებული წინადადება მთავრის გარეშე (უშემასმენლო მთავარი წინადადება); უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება.

69. ქვეწყობის სახეები: თანამიმდევრობითი დაქვემდებარება. არათანადამოკიდებული წინადადებები. სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებები.

შერეული სახის რთული ქვეწყობილი წინადადება.

70. ზერთული წინადადება.

ლიტერატურა

აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი. თბ., 1973.

ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბ., 1988.

შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973; 1980

ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში. იკე. IV, 1953.

კ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში. რჩეული ნაშრომები, I, 1967.

გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში. ქპი შრომები, VIII, 1948.

არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. შრომები, 1, თბ., 2010.

ალ. ღლონტი, ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში. წიგნში: ფილოლოგის ჩანაწერები, თბ., 1980.

არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქეგლ I, 1951; 2004; 2009.

ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. თბ., 1981.

მ. ფაღავა, ნაწილაკი ახალ ქართულში, თბ., 2009.

ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ ქართულში, თბ., 1979.

არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში. იკე, 1, 1946.

შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში. თბ., 1969.

გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბ., 2010.

სტატიები კრებულიდან: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1. 1956.

არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში. კრებული სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1. 1956.

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; 1995.

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1956.

გ. როგავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში. ქესს, III, 1963.

ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ. 1997.

ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976.

რ. საღინაძე, ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები), თბ. 2008.

]